

ანბარიში # 9



საქართველოს საგარეო ვაღის პოლიტიკა:

რინეთის
სახალხო
რესპუბლიკის
ბანკი
საქართველოს
მთავარ
კრედიტორებს
შორის



სამოქალაქო იდეას შესახებ

„სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის – სამოქალაქო იდეა“ საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

„სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში.

სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევას ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.



საქართველოს ვალის პოლიტიკა, პრიორიტეტები და რისკ ფაქტორები

„სამოქალაქო იდეა“ საქართველოს საგარეო ვალის პოლიტიკით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების მიღებაზე ოფიციალურად უარი განაცხადა. უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად კი, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგარეო ვალის შემცირების დაწყება დაასახელა. თუმცა, საგარეო ვალის შემცირების ნაცვლად, ირკვევა, რომ საქართველო კვლავ აქტიურად აგრძელებს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუციისგან, თუ პირდაპირ სახელმწიფოებისგან კრედიტების აღებას. ქვეყნის ორ მთავარ კრედიტორს აზიის განვითარების ბანკი (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) წარმოადგენენ.

2021 წლის 21 სექტემბერს აზიის განვითარების ბანკმა (ADB) ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხს გამოუყოფდა, რომელიც საქართველოს ელექტროენერჯის სექტორის გაძლიერებას მოხმარდებოდა.

2021 წლის 24 სექტემბერს კი, ADB-მ დაამტკიცა [15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი](#), რომელიც საქართველოს ვაქცინაციის პროგრამების ეფექტურად განხორციელებაში დაეხმარებოდა. არუნდა დაგვაზიწყდეს, რომ აზიის განვითარების ბანკის ეს გადაწყვეტილება, მხოლოდ სამი კვირით უსწრებს საქართველოს მთავრობის მიერ [ევროკავშირისთვის 75 მილიონი ევროს მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმას](#).

2021 წლის 31 აგვისტოს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა [ოფიციალურად განაცხადა](#) რომ, საქართველომ დაიწყო საგარეო ვალის შემცირება და, შესაბამისად, ევროკავშირის მხრიდან დამატებითი დახმარება არ იყო საჭირო.

„საქართველოს მთავრობა წყვეტს, როდის აიღოს სესხი და როდის არ აიღოს სესხი. ეს არის ჩვენი გადასაწყვეტი... პირველი, ამ ვალზე იმიტომ ვთქვით უარი, რომ მთავრობამ გადაწყვიტა ეტაპობრივად საგარეო ვალის შემცირება და უარს ვამბობთ იმ ვალზე, რომლებიც არ შექმნის განსაკუთრებულ პრობლემებს, ჩვენს ქვეყანას არ შეუქმნის რაიმე პრობლემას. მეორე, ამ სესხმა შეიძინა განსაკუთრებული დატვირთვა, პოლიტიკური დატვირთვა და თქვენ ნახეთ, წინასაარჩევნოდ ჩვენი ოპონენტები როგორ სპეკულირებდნენ ამ ვალით. მესამე, სესხი

რა თქმა უნდა დაკავშირებული იყო სასამართლოს რეფორმასთან, მოსამართლეების დანიშვნასთან. ასეთ წვრილმანებზე როცა ჩვენ ვკონცენტრირდებით და ხაზს ვუსვამთ ევროკავშირთან, მე ვფიქრობ, დამაკნინებელი და დამაზიანებელია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობისთვის - ჩვენ გაცილებით მაღალი დონის, სტრატეგიული ურთიერთობა და თანამშრომლობა გვაქვს ევროკავშირთან.“ - საქართველოს პრემიერ მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი

კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს, რასთან გვაქვს საქმე, გთავაზობთ ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების და აზიის განვითარების ბანკის კრედიტის პირობების შედარების ცხრილს, რომელშიც ნათლად ჩანს, რამდენად შეღავათიანი პირობებით სთავაზობდა ევროკავშირი საქართველოს დახმარების პროგრამას - იაფ სესხს და ქვეყნისთვის რამდენად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან საქართველოს მთავრობამ.

	სესხის ოდენობა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	სესხის გაცემის პერიოდი
ევროკავშირის დახმარების პროგრამა	75 მილიონი ევრო	0.125%	15 წელი
აზიის განვითარების ბანკის კრედიტი	115 მილიონი აშშ დოლარი	0.6%	12 წელი

რაც შეეხება აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB). უნდა აღინიშნოს, რომ AIIB [ჩინეთის კომუნისტური პარტიის ზეგავლენის ქვეშ არის. და რეალურად ჩინური ბანკია.](#) იგი 188,915 მილიონი აშშ დოლარის ვალის ოდენობით, საქართველოს რიგით მეორე კრედიტორია ADB-ის შემდეგ. ჯერ კიდევ 2021 წლის აგვისტოში, AIIB-ისგან მიღებული ვალი [184,706 მილიონი აშშ დოლარს](#) შეადგენდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვალის ოდენობა ყოველთვიურად იზრდება.

გთავაზობთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის ნოემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს [საგარეო ვალის](#) შესახებ სრულ ინფორმაციას:

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი
External Public Debt of Georgia

კრედიტორი Creditors	კრედიტის ვალუტა Currency	ვალის ნაშთი (ათასი) Debt Stock (thousand)		
		კრედიტის ვალუტაში in Credit Currency	აშშ დოლარში in USD	ლარში in GEL
სახელმწიფო საგარეო ვალი External Public Debt			7 855 129	24 246 428
მთავრობის საგარეო ვალი Government External Debt			7 386 563	22 800 104
მრავალმხრივი კრედიტორები Multilateral			5 370 972	16 578 578
აზიის განვითარების ბანკი (ADB) Asian Development Bank	USD	401 348	401 348	1 238 841
	SDR	417 633	585 019	1 805 778
	EUR	640 888	723 566	2 233 432
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) Asian Infrastructure Investment Bank	USD	46 777	46 777	144 387
	EUR	125 896	142 138	438 736
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) Council of Europe Development Bank	EUR	2 692	3 040	9 382
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) European Bank For Reconstruction and Development	EUR	203 855	230 153	710 413
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) European Investment Bank	EUR	721 415	814 482	2 514 061
ევროკავშირის გაერთიანება (EU) European Union	EUR	133 000	150 158	463 492
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) International Bank For Reconstruction and Development	USD	877 689	877 689	2 709 163
	EUR	277 936	313 791	968 578
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) International Development Association	SDR	597 096	836 409	2 581 745
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) International Fund for Agriculture Development	SDR	22 433	31 424	96 995
	EUR	5 818	6 569	20 276
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) International Monetary Fund	SDR	147 000	205 917	635 604
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO) Nordic Environment Finance Corporation	EUR	2 209	2 493	7 697
ორმხრივი კრედიტორები Bilateral			1 514 096	4 673 561
სომხეთი Armenia	USD	4 210	4 210	12 994
აზერბაიჯანი Azerbaijan	USD	4 400	4 400	13 581
ავსტრია Austria	EUR	15 054	16 996	52 461
ჩინეთი China	CNY	3 000	470	1 451
საფრანგეთი France	EUR	472 490	533 444	1 646 581
გერმანია Germany (KfW)	EUR	609 889	688 567	2 125 401
ირანი Iran	USD	3 265	3 265	10 078
იაპონია Japan	JPY	21 859 723	192 784	595 065
ყაზახეთი Kazakstan	USD	5 374	5 374	16 587
კუვეიტი Kuwait	KWD	3 274	10 818	33 392
ნიდერლანდები Netherlands	EUR	196	221	683
რუსეთი Russia	USD	31 570	31 570	97 447
თურქეთი Turkey	USD	8 529	8 529	26 326
თურქმენეთი Turkmenistan	USD	211	211	652
უკრაინა Ukraine	USD	24	24	74
ამერიკა United State	USD	13 188	13 188	40 706
უზბეკეთი Uzbekistan	USD	26	26	82
ფასიანი ქაღალდები Bonds			500 000	1 543 350
ევროობლიგაცია 2021 Eurobond 2021	USD	500 000	500 000	1 543 350
გარანტირებული კრედიტები Guaranteed			1 495	4 615
გერმანია Germany (KfW)	EUR	1 324	1 495	4 615
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი External Debt of National Bank of Georgia			468 566	1 446 323
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) International Monetary Fund	SDR	334 500	468 566	1 446 323

სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

Public Debt Management Department
Ministry of Finance of Georgia

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ბუნებრივად ბადებს კითხვას: **რატომ იღებს საქართველოს ხელისუფლება ვალს აზიის განვითარების ბანკისგან, ან აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისგან და რატომ ამბობს უარს ევროკავშირის შეღავათიან სესხზე მაშინ, როცა მათი მომსახურება ევროკავშირთან შედარებით ორჯერ ძვირია?**

ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების ლიდერების აზრით, საფუძველს მოკლებული მიზეზების გამო, ევროკავშირის დახმარებაზე უარის თქმა და აზიური ვალების დამტკიცება იმაზე მეტყველებს, რომ [მმართველმა პარტიამ გადაუხვია ქვეყნის ევროატლანტიკურ საგარეო პოლიტიკურ კურსს](#). შესაბამისად, ჩვენ ვდგავართ იმ რეალობის წინაშე, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპანიებისთვის ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებში, არცთუ იშვიათად კი, სამართლებრივად გაუმართავ და საეჭვო გარემოებებში გამარჯვების მინიჭების გარდა, ჩინეთის სახელმწიფო არაპირდაპირი გზით (სხვადასხვა ორგანიზაციების მეშვეობით) ხდება საქართველოს მთავარი კრედიტორი. მეტიც, მომდევნო წლის საბიუჯეტო დოკუმენტის მიხედვით, 2022 წლისთვის საქართველოს მთავრობა გეგმავს [3.1 მილიარდი ლარის](#) ოდენობის ახალი საგარეო ვალის აღებას, რომლის უმრავლესობის უზრუნველყოფას ADB მოახდენს. ეს გარემოება ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მთავრობის გაცხადებულ გეგმებს საქართველოს საგარეო ვალის შემცირებასთან დაკავშირებით.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც 2021 წლის აგვისტო-ნოემბერში საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალებია წარმოდგენილი. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე - შეღავათიანი სესხის მიღებაზე, არავითარი დისკომფორტი სხვა, გაცილებით უარესი პირობების სასესხო ხელშეკრულებების გაფორმებასა და ვალის აღებაზე არ ჰქონია.

კრედიტორი Creditors	თარიღი			
	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
აზიის განვითარების ბანკი (ADB) Asian Development Bank	1,754,556	1,732,143	1,739,028	1,709,933
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) Asian Infrastructure Investment Bank	189,772	190,585	193.414	188,915

ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) Council of Europe Development Bank		3,176	3,139	3,138	3,040
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) European Bank For Reconstruction and Development		236,840	236,567	239,241	230,153
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) European Investment Bank		855,984	846,052	840,742	814,482
ევროგაერთიანება (EU) European Union		156,886	155,066	154,999	150,158
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) International Bank For Reconstruction and Development		1,183,136	1,185,668	1,195,237	1,191,480
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) International Development Association		865,325	848,277	848,802	836,409
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) International Fund for Agriculture Development		37,893	37,811	37,955	37,992
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) International Monetary Fund		209,366	207,104	208,061	205,917
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO) Nordic Environment Finance Corporation		2,217	2,191	2,190	2,493
ორმხრივი კრედიტორები Bilateral		1,571,029			
სომხეთი	Armenia	4,210	4,210	4,210	4,210
აზერბაიჯანი	Azerbaijan	4,400	4,400	4,400	4,400
ავსტრია	Austria	17,757	17,551	17,544	16,996
ჩინეთი	China	464	464	469	470
საფრანგეთი	France	559,091	552,000	553,295	533,444
გერმანია	Germany (KfW)	713,484	706,113	710,146	688,567
ირანი	Iran	3,265	3,265	3,265	3,265
იაპონია	Japan	198,996	196,260	192,193	192,784
ყაზახეთი	Kazakstan	5,374	5,374	5,374	5,374
კუვეიტი	Kuwait	8,686	9,719	10,809	10,818
ნიდერლანდები	Netherlands	231	229	228	221
რუსეთი	Russia	31,570	31,570	31,570	31,570

თურქეთი	Turkey	8,529	8,529	8,529	8,529
თურქმენეთი	Turkmenistan	211	211	211	211
უკრაინა	Ukraine	24	24	24	24
ამერიკა	United State	14,711	14,711	13,953	13,188
უზბეკეთი	Uzbekistan	26	26	26	26

ოფიციალური მონაცემებით, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან (AIIB), რომელიც რეალურად ჩინური ბანკია, ქართულ სახელმწიფოს გაფორმებული აქვს სასესხო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული 2021 წლის ოქტომბრის მონაცემებით, სასესხო ვალდებულება 193,414,000 აშშ დოლარია.

გთავაზობთ ისტორიას თუ როდის, რატომ და რა პირობებით გადაწყვიტა საქართველოს მთავრობამ იმ ბანკთან თანამშრომლობა, რომელიც 2016 წელს დაარსდა.

ჩვენი კვლევის შემდგომ თავებში იხილავთ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) შექმნის ისტორიას და ცნობებს მისი საერთაშორისო რეპუტაციის შესახებ.

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) 2015 წელს დაარსდა ჩინეთის 2013 წლის ინიციატივით და ძირითადად, ორიენტირებულია აზიაში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, თუმცა, მისი წევრები ევროპული სახელმწიფოებიც არიან. მიუხედავად AIIB-ის არსებობის მოკლე პერიოდისა, ბანკთან მნიშვნელოვანი პრობლემები და სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ ორგანიზაციის მიერ განცხადებული პრეტენზიები ასოცირდება, მაგალითად:

- გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაცდომები;
- ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის უგულებელყოფა;
- ბანკის დაფინანსებით, ინდოეთში, მიანმარსა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში აღდგენილი უამრავი რისკის შემცველი და შეჩერებული ენერგო პროექტები; (ატომური ელექტროსადგურები, ქვანახშირის მომპოვებელი ქარხნები და სხვა.)

AIIB-ის საერთაშორისო რეპუტაციისა და პრობლემების განხილვამდე, მოკლედ მიმოვიხილოთ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან საქართველოს ხელისუფლების თანამშრომლობა და მათი მზარდი ვალის პოლიტიკა.



საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის არსებული თანამშრომლობის მიზნობრიობა და შედეგები

2015 წლის 26 მარტს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოსცა [საქართველოს მთავრობის განკარგულება №630](#), რომლის თანახმადაც, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს სახელით, გამოეხატა სურვილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში (AIIB) დამფუძნებელ წევრობასთან (Founding Member) დაკავშირებით.¹

2017 წლის 13 აპრილს კი, იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გამოსცა [საქართველოს მთავრობის განკარგულება №753](#)², რომლის თანახმადაც მოწონებულ უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადება - „ქალაქ ბათუმის ახალი შემოვლითი გზის პროექტის“ დასაფინანსებლად აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკიდან (AIIB) 114 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხის აღებაზე, რომლის ხანგრძლივობაც 25 წელია. აღნიშნული სესხის პროცენტი ცვლადია და [0,30%-დან 1,68%-მდე მერყეობს](#).³

2017 წლის 15 ივნისს, გიორგი კვირიკაშვილმა გამოსცა [საქართველოს მთავრობის განკარგულება №1215](#), რომლის თანახმადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელით, დაევალა, გაეცა მხარდაჭერის წერილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) სახელზე AIIB-ის სტატუსის, პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და გამონაკლისების საკითხთან დაკავშირებით.⁴

2019-2020 წლებში 3 ცვლილება შევიდა „2017 წლის 12 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმებაში“, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე.⁵

2020 წლის 21 მაისს საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება (სესხის ნომერი L0388A), რომლის ფარგლებში საქართველომ 100 000 000 აშშ დოლარი მიიღო.

AiIB ვალების სტატისტიკა 2017 წლიდან -2018 წლამდე⁶

2017 - 9,267,000 აშშ დოლარი

2018 წლის დეკემბერი - 14,428,000 აშშ დოლარი

2019 წლის დეკემბერი - 26,666,000 აშშ დოლარი

2020 წლის დეკემბერი - 159,524,000 აშშ დოლარი

2021 წლის ოქტომბერი - 193,000,414,

წყარო https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika

2017 წლიდან 2021 წლამდე მთავრობის მიერ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისგან მიღებული თანხები (AiIB) ეტაპობრივად თითქმის 13-ჯერ გაიზარდა.

ჩვენ მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს AiIB-ისთან სესხის ფარგლებში მიღებული თანხების მიზნობრიობასთან დაკავშირებით, რაზეც პასუხად მივიღეთ, რომ აღნიშნული რესურსები ხმარდება სამ პროექტს:

[„ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი“](#), რომლის მიზანია მსესხებელი ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ მაგისტრალზე ავტოსატრანსპორტო ეფექტურობის გაუმჯობესება.⁷

[„Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი“](#), რომლის მიზანია საქართველოში პანდემიით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილება, გამოვლენა და მასზე რეაგირება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნის ეროვნული სისტემების გაძლიერება საქართველოში.⁸

[„ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის პროგრამის ფარგლებში COVID-19-ის კრიზისის შემსუბუქებას.“](#)⁹

აღსანიშნავია, რომ [„ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის“](#) სამშენებლო [სამუშაოების ვადად 2017-2020 წლები](#)¹⁰ იყო განსაზღვრული, თუმცა იგი [ჯერაც არ დასრულებულა](#).¹¹

რაც შეეხება, “COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტს”, „სამოქალაქო იდეას“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უპასუხა, რომ პროექტის ფარგლებში, 2021 წლის ნოემბრის მონაცემებით, შექენილია:

⁶ საგარეო ვალების სტატისტიკა https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika

⁷ „ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი“, <https://www.aiib.org/en/projects/details/2017/approved/Georgia-Batumi-Bypass-Road.html?fbclid=IwAR1HnbjS2qM0wYfbszCRahNGJfnaRD-KqBmXnKjRTYgwEXve8tUxGNYxbF8>

⁸ „Covid-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი“ https://www.aiib.org/en/projects/details/2020/approved/_download/Georgia/PSI-P000388-Georgia-COVID19-May-20-2020.pdf

⁹ „ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის პროგრამის ფარგლებში COVID-19-ის კრიზისის შემსუბუქება.“ https://www.aiib.org/en/projects/details/2020/approved/_download/Georgia/PSI-P000417-Georgia-Budgetary-Support-18Jul2020.pdf

¹⁰ ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის მშენებლობა იწყება <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&id=1477482075>

¹¹ <https://1tv.ge/news/batumis-shemovliti-gzis-mshenebloba-wlis-bolos-dasruldeba/>

- კოვიდ-19-ის ლაბორატორიული დიაგნოსტიკისთვის საჭირო რესურსები;
- სხვადასხვა დასახელების (ნიღბები, ხელთათმანები, ბახილები, რესპირატორები, სახის ფარები, და სხვ.) პერსონალური დაცვის საშუალებები;
- წამყვანი სახელმწიფო კოვიდ-კლინიკებისთვის (თბილისის, რუხისა და ბათუმის რესუბლიკური საავადმყოფოებისთვის, ასევე, ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის კლინიკისა, და ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრისათვის) შესყიდულია: 600-ზე მეტი ჰოსპიტალის საწოლი და პაციენტის გადასაყვანი საკაცეები, 2000-მდე ჟანგბადის სამედიცინო მიწოდების აპარატურა (ვენტილატორები, კონცენტრატორები, მაღალი ნაკადით და ბიპაპ-სიპაპ რეჟიმებით ოქსიგენაციის აპარატურა), და აქსესუარები (18 000 ბიპაპ-სიპაპ ნიღაბი); ასევე, კარდიოგრაფები, პაციენტის მონიტორები, დეფიბრილატორები, პლეთიზმოგრაფები და სპირომეტრები, ლაბორატორიული და დიალიზის, ასევე ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის აპარატურა. შესყიდვის ფინანსურ ეტაპზეა მაღალტექნოლოგიური რენტგენისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატურა;

ასევე, სამინისტროს ინფორმაციით:

- საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი აღიჭურვა ტეტრა სისტემის რადიოგადამცემებით, საბაზისო სამედიცინო ხელსაწყოებით, და მაღალი გამავლობის მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით (38 ერთეული, აქედან 5 სრული მაღალტექნოლოგიური რეანიმობილი); ასევე მიეწოდათ სასერვერო და სხვა IT აპარატურა;
- 30 ერთეულზე მეტი სატრანსპორტო საშუალებაა შესყიდული სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს აქტიური საქმიანობისათვის კოვიდ-19 პანდემიის კონტექსტში;
- დაწყებულია სამუშაოები ქუთაისში „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რეგიონული დანაყოფის შენობების რეაბილიტაციის მიზნით; ტექნიკური დახმარება გაეწია თვით-იზოლაციისა და კონტაქტების მიღვევნების სისტემების ტექნოლოგიური სრულყოფის მიზნით, ასევე

კრიზისის მენეჯმენტისა და ვაქცინაციის ხელსეწყობისთვის გამიზნულ საკომუნიკაციო პროექტებს, რაც ასევე ეხმარება უწყებას პროექტის საზოგადოებრივი ხილვადობის გაზრდაში;


- სასერვერო და IT აპარატურა;
- ტექნიკური დახმარება გაეწია თვით-იზოლაციისა და კონტაქტების მიღვენების სისტემების ტექნოლოგიური სრულყოფის მიზნით, ასევე, კრიზისის მენეჯმენტისა და ვაქცინაციის ხელსეწყობისთვის გამიზნულ საკომუნიკაციო პროექტებს, რაც ასევე ეხმარება უწყებას პროექტის საზოგადოებრივი ხილვადობის გაზრდაში.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ნამდვილად, შთამბეჭდავია და თუ მას დავყრდნობით, დღეს საქართველო კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მოწინავე სახელმწიფო უნდა იყოს. თუმცა, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ „ვარდისფერი სათვალის ეფექტია“. რეალობა არის ის, რომ ოფიციალური მონაცემებით, საქართველო კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში კი არა, ვირუსის გავრცელების მასშტაბით, სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ვაქცინაციის დაბალი ტემპით, შემამფოთებლად მაღალ საფეხურზეა. AIB-ის 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის მიუხედავად, ქვეყანაში არც საკმარისი საავადმყოფო საწოლების რაოდენობაა, არც ჟანგბადის აპარატები და არც მედ-პერსონალის საკმარისი რესურსი. ასევე, საეჭვოა პირბადეებისა და სხვა პერსონალური დაცვის საშუალებების ხარისხიც. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ 2021 წლის აგვისტოში, [უარი განაცხადა ევროკავშირისგან 75 მილიონ ევროს ოდენობით მაკროფინანსურ დახმარებაზე](#), რომელიც საქართველოს მოსახლეობას უნდა მოხმარებოდა, სწორედ, კოვიდპანდემიასთან გამკლავებაში და ზოგადად, „მოქალაქეების კეთილდღეობას.¹² აღნიშნული უარი პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა იმით ახსნა, რომ ევროკავშირი ამ თანხას საქართველოს სესხის სახით აძლევდა, მთავრობამ კი [“საგარეო ვალის შემცირება დაიწყო და თანხის მიღების აუცილებლობა აღარ იყო საჭირო”](#).

მსგავსი „გონიერება“, სამწუხაროდ, ხელისუფლებას 2020 წლის მაისში არ გამოუჩენია, როცა 100 000 000 აშშ დოლარის ოდენობით იღებდა სესხს ჩინური წარმომავლობის ბანკისგან და ამასთანავე, ზემოხსენებული პერიოდისთვის, მკაცრი შეზღუდვებისა და თვითიზოლაციის ხარჯზე (და არა საწოლფონდის, სხვა სამედიცინო აღჭურვილობის ან მთავრობის მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების ხარჯზე) ინფიცირებულთა და სიკვდილიანობის დღიური მაჩვენებელი 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო დაბალი იყო ქვეყანაში.

¹² <https://www.radiotavisupleba.ge/a/31438499.html>

რა თქმა უნდა, ცხადია, რომ პრემიერის ახსნა-განმარტება საგარეო ვალის შემცირების მიზნებზე, მხოლოდ სამარცხვინო მცდელობაა ქვეყნის ევრო-ატლანტიკური კურსიდან გადახვევის დასაფარად, რასაც ჩვენს კვლევაში მოყვანილი ფაქტები და დოკუმენტები ადასტურებს.



მხარდაჭერის წერილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) სახელზე

2017 წლის 15 ივნისს, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გამოსცა საქართველოს მთავრობის განკარგულება №1215, რომლის თანახმადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელით, დაევალა, გაეცა [მხარდაჭერის წერილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის \(AIIB\) სახელზე AIIB-ის სტატუსის](#), პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და გამონაკლისების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული წერილის თანახმად:

2015 წელს საქართველო გახდა AIIB-ის წევრი და აიღო წევრის ვალდებულებები;

საქართველოს მთავრობამ აღიარა ის ფაქტი, რომ ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელშეკრულების ფარგლებში, AIIB-ს მიანიჭა სტატუსი, იმუნიტეტი, პრივილეგიები და დაადგინა გამონაკლისები მისთვის. ასევე, წევრებმა აიღეს ვალდებულება, რომ ისინი არ დააწესებენ რაიმე შეზღუდვას ვალუტაზე, მათ შორის არც მიღებაზე, დაყოვნებაზე, გამოყენებაზე ან გადარიცხვაზე, რომელიც ხორციელდება ბანკის ან ბანკიდან ნებისმიერი მიმღების მიერ, ნებისმიერი ქვეყნის ფარგლებში.

AIIB-ის მიერ ფინანსური მხარდაჭერის გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველომ დანიშნა საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც დეპოზიტარი, რომელშიც AIIB-ს შეუძლია შეინახოს წევრთა ვალუტა და ბანკის სხვა აქტივები.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საქართველომ არ უნდა დააწესოს რაიმე შეზღუდვა კონვერტირებად ვალუტაზე, როგორც და როცა ეს საჭიროა AIIB-ის წინაშე არსებული ყველა თანხის გადასახდელად, მათ შორის, სესხებთან დაკავშირებით, რომელიც დაფინანსებულია ბანკის მიერ ან ფინანსდება ბანკების ან სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მონაწილეობენ ასეთ სესხში.(ii) კაპიტალის ინვესტიციასთან, (iii) გარანტიასთან, ან (iv) ბანკის მიერ დაფინანსების სხვა საშუალებებთან დაკავშირებით. ყველა

ასეთი გადარიცხვა თავისუფალი უნდა იყოს საქართველოს ან, რომელიმე პოლიტიკური ქვედანაყოფის მიერ დაკისრებული გადასახადებისგან.

საქართველოს მთავრობამ აღიარა ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც მიღებულ უნდა იყოს შესაბამისი დათქმები AIIB-ის პრივილეგიებთან და იმუნიტეტთან დაკავშირებით საქართველოში.

იმ შემთხვევაში, თუ AIIB გახსნის ოფისს საქართველოში ან, უმასპინძლებს ოფიციალურ დონისძიებას საქართველოს ტერიტორიაზე, მთავრობა გამოიყენებს დამატებით სამართლებრივ ინსტრუმენტებს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის გათვალისწინებული ფორმით.

დოკუმენტს ხელს აწერს დიმიტრი ქუმსიშვილი. წერილს თან ახლავს დანართიც, რომელიც აკონკრეტებს წერილის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს:

AIIB-ის მთელი ქონება და აქტივი თავისუფალი უნდა იყოს შეზღუდვებისგან, რეგულაციებისაგან, კონტროლისგან და ნებისმიერი ხასიათის მორატორიუმისგან. ასევე, AIIB-ს შეუძლია წევრ სახელმწიფოებში თავისუფლად: (i) იყიდოს, შეინახოს და განკარგოს AIIB-ის ჩვეულებრივი რესურსები და სპეციალური ფონდების რესურსები, ვალუტები, ფასიანი ქაღალდები, აწარმოოს ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში, ჩაერთოს ოპერაციებში და დადოს კონტრაქტები; (ii) როცა საჭირო გახდება რომელიმე ვალუტის სხვა ვალუტასთან მიმართებით შეფასება ან იმის დადგენა, არის თუ არა რომელიმე ვალუტა კონვერტირებადი, ასეთი შეფასება ან განსაზღვრა უნდა განხორციელდეს AIIB-ის მიერ; და (iii) მიიღოს სესხი და საჭიროების შემთხვევაში, წევრის კანონიერი ვალუტით განხორციელოს დაფინანსება მის ოპერაციებში და გამოუმავს ფასიანი ქაღალდები.

წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ AIIB-ის მიმართ არ დაიწყებენ სამართლებრივ დავას და მოლაპარაკების გზით მოაგვარებენ უთანხმოებას. გარდა ამისა, ბანკის ნებისმიერი ქონება, სადაც არ უნდა იყოს იგი განთავსებული და ვის მიერაც არ უნდა იყოს მართული, აუცილებლად ხელშეუხებელი რჩება, ვიდრე ბანკის მიმართ საბოლოო განაჩენი არ გამოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციური დავის შემთხვევაშიც კი, AIIB-ის ქონებაზე უზრუნველყოფის დონისძიება ვერ განხორციელდება და AIIB-ს ნებისმიერ მომენტში შეეძლება თავი აარიდოს აღსრულების პროცესს. ასევე, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება და გასცა გარანტია, რომ AIIB-ის ქონება ჩხრეკის, რეკვიზიციის, კონფისკაციის, ექსპროპრიაციის ან აღმასრულებელი ან საკანონმდებლო მოქმედებით აღების ან ჩამორთმევის სხვა ფორმისგან თავისუფლდება. ქონებაში იგულისხმება ასევე AIIB-ის დოკუმენტაციაც.

ბანკის ყველა მმართველი, დირექტორი, ალტერნატიული წევრი, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და ბანკის სხვა ოფიცრები და თანამშრომლები, ექსპერტებისა და კონსულტანტების ჩათვლით, რომლებიც ასრულებენ მისიებს ან მომსახურებას ბანკისთვის, ასევე დაცულები არიან იმუნიტეტით და სარგებლობენ პრივილეგიებით. აღნიშნული პირები თავად AIIB-თან ერთად გათავისუფლებულნი არიან ყოველგვარი გადასახადებისგან.

რაც შეეხება ხელშეკრულებას, AIIB-ის (შემდგომში ბანკი) ფუნქციები და მიზნები ერთი შეხედვით ძალიან მიმზიდველი და მრავალფეროვანია. კერძოდ, ბანკი წევრ სახელმწიფოებს პირდება: ეკონომიკურ განვითარებაში ხელშეწყობას, ინვესტიციების განხორციელებას, სხვადასხვა ინიციატივების წახალისებას, მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებით და ა.შ. თუმცა, სანაცვლოდ წევრი სახელმწიფოები არაერთ ვალდებულებას იღებენ, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებსაც, რაც ბანკის აქციების შესყიდვასა და საწევრო გადასახადში გამოიხატება. საქართველოს მიერ AIIB-ის კაპიტალში თავდაპირველი შენატანი წარმოადგენს 53.9 მილიონ აშშ დოლარს.

ფინანსთა სამინისტროსგან გამოვითხოვეთ კონკრეტული ინფორმაცია: აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) გარდა იყო თუ არა საქართველო მსგავსი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების წევრი და ჰქონდა თუ არა მათ წინაშე აღებული იმგვარი ვალდებულებები, როგორც აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან (AIIB) აქვს. უწყებამ დეტალებს გვერდი აუარა და მოთხოვნაზე ზოგადი და მწირი პასუხი გაგვცა, თუმცა მაინც გაირკვა, რომ

„საქართველო, გარდა AIIB-ისა, არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის (IBRD, IDA, IFC, ICSID, MIGA), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), აზიის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროპის საბჭოს ბანკის (CEB), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) **წევრი ქვეყანა**, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) რეგიონული ფონდის **როგორც კონტრიბუტორი, ისე მიმღები ქვეყანა** და საქართველოს აქვს აღებული შესაბამისი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სადამფუძნებლო შეთანხმებებით გათვალისწინებული წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები, **მათ შორის შესაბამისი ბანკის/ორგანიზაციის პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და გამონაკლისების საკითხებთან დაკავშირებული ვალდებულებები.**“

ფინანსთა სამინისტროს პასუხიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- მართალია საქართველო არის მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროპის საბჭოს ბანკის (CEB), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) წევრი, თუმცა განსხვავებით AIB-ისა, ამ შემთხვევებში იგი არ არის კონტრიბუტორი, ანუ მას არ აკისრია ზემოხსენებულ ორგანიზაციებთან ფინანსური ვალდებულებები, როგორც ეს AIB-ის შემთხვევაშია;
- მართალია **პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და გამონაკლისების საკითხებთან დაკავშირებული ვალდებულებები** სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფარგლებშიც აკისრია საქართველოს, თუმცა, განსხვავებით AIB-ისგან ეს ორგანიზაციები ღირსეული საერთაშორისო რეპუტაციის მატარებლები არიან და სანდოობა მათ მიმართ ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე AIB-ის მიმართ, რომელიც არაერთ სკანდალშია გახვეული საერთაშორისო მასშტაბით, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.
- ერთ შემთხვევაში, პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და გამონაკლისების მინიჭება მსოფლიო ბანკისთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის (EBRD), ევროპის საბჭოს ბანკისთვის (CEB), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისთვის (BSTDB) ქვეყნისთვის საგარეო პოლიტიკის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა იგივე პირობების გავრცელებამ AIB-ზე შეიძლება ქვეყანას საკმაოდ მასშტაბური ზიანი მოუტანოს.



AIB, როგორც იარაღი ჩინეთის გლობალური აღორძინებისთვის

ჩინეთის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIB), რომლის სათავე ოფისიც პეკინშია, ოფიციალურად 2015 წელს დაარსდა, 57 დამფუძნებელი სახელმწიფოს მიერ. მისი შექმნა [2013 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინიციატივიდან](#) გამომდინარეობდა. თავდაპირველად, ჩინეთის მთავრობის მიზანს, ძირითადად, აზიის კონტინენტზე [ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად](#), ბანკში თანხის ჩადება წარმოადგენდა. თუმცა, მიუხედავად [აშშ-ისა და იაპონიის](#)

მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა არ შეერთებოდნენ ბანკს, მისი წევრების სიაში ბევრ ევროპულ ქვეყანას (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და ა.შ.) იპოვნით, მათ შორის არის საქართველოც (2015 წ.).

არსებობს მოსაზრება, რომ ბანკი რეალურად შეიქმნა როგორც ალტერნატივა აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი ისეთი ფინანსური ინსტიტუციებისთვის, როგორებიცაა - მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ბანკის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ კავშირი არ აქვს ჩინეთის მთავრობასთან, თუმცა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის განცხადებები სხვა რამეზე მეტყველებს. მაგალითად, სი ძინპინმა ოფიციალურად გამოაცხადა ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოზიცია და მისი თანხმობა აშშ-ს AIIB-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მან გაიხსენა აზიის განვითარების ბანკთან (ADB) დაკავშირებული ხარვეზები და [აღნიშნა](#), რომ "AIIB წარმოადგენს ახალ პლატფორმასამდეფიციტის/ხარვეზების დასაკმაყოფილებლად და, შესაბამისად, ამ ინიციატივას მიესალმება როგორც აზიის ქვეყნები, ისე ფართო საერთაშორისო საზოგადოება. მაგრამ, რადგან დაფინანსების დეფიციტი უზარმაზარია, ცხადია, რომ AIIB მარტო ვერ დააკმაყოფილებს მსგავს მოთხოვნებს. როგორც ღია და ინკლუზიური მრავალმხრივი განვითარების სააგენტო, AIIB სხვა მრავალმხრივი განვითარების ბანკების რიგებს დაემატება“.

AIIB-ის პრეზიდენტმა ჯინ ლიკუნმა სი ძინპინის შექებას შემდეგი სიტყვებით უპასუხა: „საკითხავია, როგორ განვსაზღვრავთ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას? მე არ დავეთანხმები იმას, რაც შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად, თუ ეს საუკეთესო პრაქტიკა არ მოიცავს ჩინეთისა და აზიაში სხვა ქვეყნების განვითარების გამოცდილებას ბოლო სამი-ოთხი ათწლეულის განმავლობაში.“

ამ კომენტარების მოსმენის შემდეგ, შეიძლება აღვიღაოდ შევიტანოთ ეჭვი ჩინეთის კომუნისტური პარტიისადმი ბანკის მიუკერძოებლობაზე. თუ აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი რეალურად წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, მაშინ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის თანხმობა არ უნდა სჭირდებოდეს აშშ-ს გაწევრიანებისთვის.¹³ ტრამპის მრჩეველმა ჯეიმს ვულსიმ 2016 წლის ნოემბერში აღნიშნა, რომ [აშშ უნდა შეერთებოდა AIIB-ს](#), რომ შემდგომში მის გაწევრიანებას პეკინის „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივის“ ფარგლებში უფრო „თბილად“ და კეთილგანწყობით ჩაეარა. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის

¹³ როგორც ზევით აღვნიშნეთ, პეკინი ისურვებდა და მიესალმებოდა აშშ-ს გაწევრიანებას აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის ადმინისტრაციის რამდენიმე წარმომადგენელს ჰქონდა სურვილი რომ აშშ შეერთებოდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს, აშშ-ს პოზიცია უცვლელი რჩება და ის არც არასდროს აპირებდა ამ ბანკში გაწევრიანებას. <https://www.cgdev.org/blog/no-us-will-not-join-aiib---here's-one-thing-it-can-do>

ადმინისტრაციის რამდენიმე წარმომადგენელს ჰქონდა სურვილი, რომ ქვეყანა ამ ბანკის წევრთა რიგებში ენახა, [აშშ-ს არასდროს განუცხადებია პრეტენზია ბანკში გაწევრიანების შესახებ](#) და მისი პოზიცია დღემდე უცვლელი რჩება.

ჩინეთის გავლენა AIB-ზე ასევე კარგად არის ასახული [2017 წლის სტატიაში](#), რომელიც გამოქვეყნდა ავსტრალიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მიერ, სადაც აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აპირებს უზრუნველყოს AIB-ის დაფინანსების ძირითადი ნაწილი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მისი ავტორიტეტის დამკვიდრებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გვერდით. გარდა ამისა, თუ დავაკვირდებით AIB-ის შეთანხმების მუხლებს, აღმოვაჩინოთ, რომ ჩინეთს შეეძლება ვეტო დაადოს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებულ ცენტრალურ საკითხებს, მათ შორის კაპიტალიზაციის დონეს, ახალი წევრების მიღებასა და არსებული წევრების ფინანსური ინსტიტუციიდან გაძევებას. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მკვლევარი კორინა ჰორტა ერთ-ერთ იმ ექსპერტთა შორისაა, ვინც არ ერიდება AIB-ის [კრიტიკას](#). კერძოდ, კორინა საუბრობს ბანკის ჩინეთის მთავრობასთან კავშირებზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების რისკებზე, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული პრინციპების ნაკლებობაზე, ბანკში კონკრეტული პირებისა და სახელმწიფოების პირად ინტერესებზე. ის ამტკიცებს, მიუხედავად იმისა, რომ AIB ითვლება დამოუკიდებელ ფინანსურ ინსტიტუტად, ჩინეთის მთავრობა პასუხისმგებელია მისი პრეზიდენტის დანიშვნაზე. მეტიც, ჩინეთის კომუნისტური პარტია ფლობს ხმის მიცემის წილის 26,52%-ს, რაც უზრუნველყოფს მის [უზენაესობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში](#).

„AIB არის დამკვიდრებულ მრავალპროფილურ ბანკებში არასაკმარისი წარმომადგენლობის გამო, ჩინეთის იმედგაცრუების შედეგი, ან თუნდაც იმ შემთხვევაში თუ AIB შეიქმნა ასეთი მოსაზრებებისგან დამოუკიდებლად, ის წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უფრო მორგებულია ჩინეთის ძალასა და გავლენებს.“ – [კვითხულობთ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ანგარიშში](#).

AIB-ის დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაცდომები და საფრთხეები სხვადასხვა ქვეყნებში:

ინდოეთისა და მიანმარის შემთხვევები

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ქვეყნის, ინდოეთის მაგალითზე განვიხილავთ, რა რისკების ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც საქართველოა.

ინდოეთი AIB-ის დაფინანსების [ყველაზე დიდი მიმღებია სამხრეთ აზიაში](#) და, შესაბამისად, ბანკის ძირითადი პრობლემებიც ამ ქვეყანას უკავშირდება.

2018 წელს, AIIB აფინანსებდა შვიდ კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ პროექტს ინდოეთში. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს შეშფოთება ინდოეთის მთავრობასა და ბანკს შორის გარიგებების სტრუქტურასთან დაკავშირებით, რადგან ტრანზაქციებს არ გააჩნდა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა სპეციფიკურ გარანტიებს და გამჭვირვალობას დაფინანსების სხვადასხვა დონეზე. სამოქალაქო საზოგადოება ასევე, შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ამ ბანკის გამოჩენას ინდოეთში, შესაძლოა, იმ ინფრასტრუქტურული პროექტების აღდგენა გამოეწვია, რომლებიც [შეჩერებული იყო სხვადასხვა სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების გამო](#). როგორც ევროპის საბანკო საინფორმაციო ცენტრისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ცენტრის წარმომადგენლები [აღნიშნავენ](#), „AIIB-ს არ გააჩნია საკმარისად ძლიერი დამცავი პოლიტიკა, რომელიც აუცილებელია იმ პროექტების ან ქვეინვესტორების მონიტორინგისთვის, რომლებშიც NIIF (ეროვნული საინვესტიციო და ინფრასტრუქტურის ფონდი) ინვესტირებას განახორციელებს. ან, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ზიანს არ მიაყენებენ ადგილობრივ მოსახლეობას“.

ინდოეთში, გენდერული თანასწორობის დამცველებმა ასევე გამოთქვეს კონკრეტული პრეტენზიები ბანკისადამისისაქმიანობის მიმართ „გუჯარატის გზების“ პროექტთან დაკავშირებითაც, სწორედ იქ, სადაც AIIB გენდერული კუთხით კონსტრუქციული ქმედებების დემონსტრირებით ძალიან ამაყობდა.

2019 წლის გენდერული ქმედებების შეჯამების ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნდა ნიუ დელიში დაფუძნებული ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების



(წყარო: aiib.org)

პროგრამის (PWESCR) მიერ, ამ კონკრეტულ პროექტში არ იყო ჩამოყალიბებული ქალების ჩართულობისა და ინფორმირებისთვის საჭირო მექანიზმები. გარდა ამისა, პროექტზე ბევრად ნაკლები ქალი იყო დასაქმებული, ვიდრე მამაკაცი. ასევე, საცხოვრებლისა და სხვა პირობების გათვალისწინებით, უთანასწორობა შეინიშნებოდა, რაც იმაზე მეტყველებს რომ AIB-ს არ შეუძლია შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ძლიერი ერთიანი სისტემა.

თუმცა, ინდოეთი არ არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც AIB-ისთან ურთიერთობებში შექმნილ სისტემურ პრობლემებზე და დარღვევებზე კონკრეტულ მაგალითებს გთავაზობს. მსგავს პრობლემებზეა საუბარი მიანმარის სადავო ინფრასტრუქტურული პროექტების კონტექსტშიც. სწორედ, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი დგას [შვე ტაუნგის \(Shwe Taung\) ცემენტის ქარხნის](#) გაფართოების უკან, რომელიც [საფრთხეს უქმნის გარემოს](#). ადგილობრივი ექსპერტები ამბობდნენ, რომ AIB-ის მიერ განვითარებადი აზიის ფონდში (EAF) 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, მიანმარის ქვანახშირის მალაროში წარმოების გაორმაგებას გამოიწვევდა. პროექტის რამდენიმე აქციონერი კი ამტკიცებდა, რომ ქვანახშირი არა ელექტროენერჯისთვის, არამედ ინდუსტრიული საქმიანობისთვის გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტები აცხადებდნენ, რომ რაც არ უნდა ყოფილიყო მისი მოხმარების მიზანი, ეკოსისტემის დაზიანება მაინც გარდაუვალი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მოუწოდებდნენ AIB-ს, შეწყვიტა წიაღისეული საწვავის ყველანაირი ფინანსური მხარდაჭერა 2020 წლის შემდეგ.



(წყარო: climatechangenews.com)



AIIB-ში გერმანიის ჩართულობის გარშემო არსებული სპეციფიკიზმი

გერმანია, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკა და ევროპის უპირობო ლიდერი სახელმწიფო, თავიდანვე შეუერთდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს, როგორც არარეგიონული წევრი. სხვადასხვა პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები [სკეპტიკურად უყურებდნენ](#) AIIB-ში გერმანიის გაწევრიანებას სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი თომას გამბკე ამბობდა, რომ ბერლინი კონკურენციას ვერ გაუწევდა პეკინს, როგორც მთავარ ძალას ბანკში. ამასთანავე, ის არ ეთანხმებოდა AIIB-ის მიერ დაფინანსებულ ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობას და ამტკიცებდა, რომ გერმანიის მთავარი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო საშუალო და მცირე საწარმოების წახალისება განახლებადი ენერჯის განვითარებისთვის. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები (როგორცაა, მაგ. “urgewald”) ასევე, ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის ჩართულობას AIIB-ში გარემოსდაცვითი რისკებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მიმართ სკეპტიკურ განცხადებებს აკეთებს გერმანიის ახალი მთავრობაც. შესაძლოა, 2021 წლის სექტემბრის არჩევნების შედეგად არჩეულმა ხელისუფლებამ, ჩინეთისადმი მერკელის 16 წლიანი პოლიტიკა სრულიად შეცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ანგელა მერკელი ყოველთვის აკრიტიკებდა ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებების უპატივცემულობასა და უნებ დარღვევას, ის მაინც მხარს უჭერდა ჩინეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, იმის იმედით, რომ ერთ დღეს ჩინეთი კეთილსინდისიერ გლობალურ აქტორად გადაიქცეოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელისუფლების კრიტიკულ ხედვაზე მეტყველებს ახლადარჩეული საგარეო საქმეთა მინისტრის ანნალენა ბაერბოკის განცხადებებიც. იგი თანამდებობაზე დანიშვნამდეც საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი ჩინეთის მიმართ, მოიხსენიებდა როგორც [„სისტემატურ კონკურენტს“](#) და დემოკრატიულ სახელმწიფოებს სტრატეგიული სოლიდარობისკენ მოუწოდებდა. მისი აზრით, გერმანია, რომელიც აღიარებს მის დანაშაულს ჰოლოკოსტში, ვერ დაუჭერს მხარს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ამჟამად ერთ გენოციდს მაინც სჩადის. „ჩვენ გვჭირდება საერთო ევროპული პოლიტიკა ჩინეთის მიმართ“, - ამბობს ბაერბოკი.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ აქ ერთხმად ვისაუბროთ და ადამიანის უფლებათა დარღვევებს თავისი სახელი დავარქვათ. ასევე მნიშვნელოვანია ამ დარღვევების გამოძიება. გერმანიის ფედერალური მთავრობა მხარს უჭერს იმ წინადადებებს, რომლებიც გაჟღერდა ევროპასა და აშშ-ში, რომ პროდუქტები, რომლებიც იძულებითი შრომის შედეგია, რომელიც გამოწვეულია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევით, ვერ შევიდეს ევროპულ ბაზარზე“. – [ადნიშნა ბეირბოკმა](#) შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს, როდესაც მას ჰკითხეს ჩინეთის სინძიანის რეგიონში არსებული გენოციდის შესახებ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის მონიტორინგი, თუ როგორ ასახავს გერმანიის მთავრობა სკეპტიკურ დამოკიდებულებას თავის შემდგომ ქმედებებში.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ირგვლივ უამრავი პრეტენზია არსებობს, საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს ჩინეთის მიერ კონტროლირებული ბანკისგან კრედიტების აღებას. როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება ამ უკანასკნელს უფრო „სანდოდ“ მიიჩნევს, მაშინ როცა დასავლურ დახმარებაზე უარს აცხადებს და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის სესხებს უპირატესობას ანიჭებს. ამავდროულად, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, ევროპელი პოლიტიკოსები და ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები თანხმდებიან იმ ფაქტზე, რომ ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა, დემოკრატიული, ევროპული და ევროატლანტიკური მომავლისკენ საქართველოს წინსვლისთვის უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.



ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას.

შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე
პასუხისმგებლები არიან
მარიამ უსენაშვილი,
ანი კინუშრაშვილი

civicidea.ge



National Endowment
for Democracy
Supporting freedom around the world

